



მნათობი



2006



2

წიგნის შესახებ

ორი ძალი

პარტოქმედიანური პიესა

მოქმედი პირები:

პარტოქმედი ძალი - ორმოცდაათ წელს მატანებული მახლელი

მისის ელიოტი - მიხრწნილი, ლოგინად ჩავარდნილი დედაბერი

სცენის ერთი ნახევარი წარმოადგენს შეძლებული ამერიკელის საბინებელი ოთახს, რომლის ფანჯარა ნიუ-იორკის უფსკრულივით თვალსაჩინოდ მუშავს ვადსურებს, კარი კი ტიხარს აქვს, სამხარეულოში გამოდის.

სამხარეულოს მეორე კარი ტუალეტში გადის. როდესაც ის კარი ღიაა, მოჩანს კაფულაკრული კედელი და პირსაბანი.

ფართო საწოლზე გაშლილ ქათამთა ქვეშაგებში ჩაკარგული მისის ელიოტი ზარს რეკავს.

ქართველი ქალი სამხარეულოში ფუსფუსებს: ელექტრონიკის ჩართვას, პატარა, მოკლეფეხება მაგიდა-ლანგარზე საუნიშეს აწვობს და თან წყლის ადუღებას ელოდება.

მისის ელიოტი ზარს რეკავს.

ქართველი ქალი ცხელი ფაფით პირმოღებულ თევზს გასაციებლად სულს უბერავს, ქაღალდის ხელსაწმენდს ლანგარზე ადგილს უკვლის. ისეთი ხალისით ირგება, გვერნებათ, სადაცაა დიდის წამოიწვება.

მისის ელიოტი ზარს რეკავს.

პარტოქმედი ძალი: ახლავე!

წვადი რომ ადუღდება, ქართველი ქალი ფინჯანში რბიანი ფაფის ფხვნილს ჩაყრის, მღვდარს დასხამს, კოვით მოურევს და სანამ მაგიდა-ლანგარს აიღებდეს, სამხარეულოს სარკვეში იყურება, თმას ისწორებს და იღიმება.

მისის ელიოტი ზარს რეკავს.

პარტოქმედი ძალი: მოდივარ!

ქართველი ქალი ლანგარს იღებს და ტიხარს აქვს, საბინებელში გამოდის.

მოახლის დანახვაზე მისის ელიოტი ვერცხლის პატარა ზარს საბანზე მიადებს და შიშის ბარტყით აქვლოპინდება.

პარტოქმედი ძალი (გაბადრული სახით): ვუღ მორწინებ, მისის ელიოტი!

მისის ელიოტი სწორედ რომ შიშის ბარტყით აიღებს პირს და მოახლეს გახარებული სახით უპირებს.

ქართველი ქალი მაგიდა-ლანგარს ლოგინში ჩაუდგამს და წინ ჩამოუჯდება.

პარტოქმედი ძალი (აღერხიანი ხმით): აბა, ჩემო პატარა გოგო... ჩემი ვოგუცუნა... აი, შენი საყვარელი ფაფა მოგიტანე... ხო გიყვარს ფაფა? მითხარი, ხო გიყვარს?... გააღე პირი... აბა, გააღე... აი, ვერე!

მისის ელიოტი ხელოვნური კიბეებით გამოტყინულ პირს აყრის.

ქართველი ქალი ფაფას თევზთან კოვით იღებს, გასაციებლად სულს უბერავს და აჭმევს.

პარტოქმედი ძალი: ჩემი ყოჩაღი, ჩემი ლამაზი და მშვენიერი გოგო... ჩემი კარგი ვოგუცუნა, ჩემი კოხტა, საყვარელი გოგო, ჩემი ცუგრუმულა... ჩემი ყოჩაღი და ღორმუცელა დრუნცა... ჩემი დრუნცები და დრანცები... ჩემი ოჭროს ბაჭია... ჩემი პატარა და ლამაზი ბაჭაჭუნა... აი, რა ძალიან კარგი და რა ძალიან ლამაზი გოგო ხარ... ჩემი საყვარელი გოგო...

მისის ელიოტი პირს ადებს.

ქართველი ქალი კოვს სულს უბერავს, ფაფას აიღებს და აჭმევს.

მისის ელიოტი ეშმაკურად იღიმება.

პარტოქმედი ძალი (ფაფით სავსე კოვს კვლავ პირთან მიუტანს): აბა, გააღე- გააღე, პირი საყვარელი...



მისი ელიოტი პირს აღარ უღებს.

ძართველი ძალი: ჩემი ლამაზი გოგო, ჩემი კარგი და ლამაზი გოგუცუნა... გააღე, გენაცვალე, პირი... გააღე!

მისი ელიოტი პირს არ უღებს.

ძართველი ძალი: გააღე, გოგო, პირი!

მისი ელიოტი უარის ნიშნად თავს აჭყვეს და პირს არ აღებს.

ძართველი ძალი: გააღე, შე ცულო, გააღე ბუთქა!

მისი ელიოტი პირს არ აღებს და ეს თანდათანობით რაღაც თამაშს ეშვავს.

ძართველი ძალი (სიცილით): გააღე პირი, შე საზიზღარო!

მისი ელიოტი პირს არ აღებს.

ძართველი ძალი: აბა, ჩემი გოჭი, ჩემი პატარა და ლამაზი გოჭი... აბა, გააღე— გააღე პირი, საყვარელო!

მისი ელიოტი პირს არ აღებს.

ძართველი ძალი (ლიღინით): ბეკეკინა, ბეო, კარი გამიღეო, პირში ბღლაზი მიჭირაეს, მუტუებში რბეო...

მისი ელიოტი პირს არ აღებს და უარის ნიშნად თავს აუჭყვეს.

ძართველი ძალი: გამიღე, დედიკო, პირი, გამიღე!

მისი ელიოტი პირს არ უღებს.

ძართველი ძალი: გინდა, კურდღელზე გიმღერო? პატარა კურდღელზე, პატარა, პაწაწუნა კურდღელზე... მითხარი, გინდა? (ღერის) ეს პატარა კურდღელი ძლიერ აეად გაგვიხდა, არც სტაფილო ევაძა, ჩამოხმა და გაგვიხდა!..

მისი ელიოტი სიამოვნებისაგან იღებება და პირს აღებს.

ქართველი ქალი ფაფას აჭმევს და როდესაც მისი ელიოტი პირს აღებს, უნებურად პირი თვითონაც ეღება.

ძართველი ძალი: აბა, ერთიც, ერთიც და მორჩა... აი, ყოჩაღ!

მისი ელიოტი კმაყოფილი სახით იღებდა.

ქართველი ქალი ქაღალდის ზედაპირზე დასერილ ტუჩებს და ნიკაოს მოწმუნებდა: [ქა] [ქა] [ქა] რბინი ყვავს ახმევს.

ძართველი ძალი: ჩემი სუფთა გოგო... ჩემი სუფთა და კრიალა გოგო... ჩემი პრანკიკელა გოგუცუნა...

მისი ელიოტი კმაყოფილია, მისი ელიოტი იღებება.

ქართველი ქალი წამოდგება.

ძართველი ძალი: ახლა მე წავაღ, კარგი? ახლა მე წავაღ და ყვავს მოვიდუღებ, შენ კი იწყე აქ და მულწიკებს უფრე— შენს საყვარელ მულწიკებს უფრე— კარგად თუ მოიქცევი, მერე კიდევ გიმღერებ, კურდღელზე გიმღერებ... პატარა კურდღელზე გიმღერებ...

ქართველი ქალი საბნიდან პულტს იღებს, ტელევიზორს მიუშვებს და ჩართავს.

ტელევიზორიდან მულტიფილმის მხარული ხმები ისმის.

ქართველი ქალს მაგიდა-ღანგარი სამზარეულოში გააქვს.

მისი ელიოტი ტელევიზორს უყურებს.

ქართველი ქალი ჭურჭელს რევხავს, მერე სამზარეულოს კარდიდან ყვავის მოსაღებელ ჯეზებს, შაქარსა და დაფქული ყვავის პაკეტს გამოიღებს.

მისი ელიოტი ტელევიზორს უყურებს.

ქართველი ქალი ელექტროქურაბს ჩართავს და თურქულ ყვავს იღუღებს. მერე მაგიდას მიუდგება, წინ ყვავის ჭიქას დაიდგამს, წინსაფრის ჯიბიდან სანთებლას და სიგარეტის ერთ ღერს ამოაძერწის და უკიდებს.

სამიწებლიდან მულტიფილმის ხმები ისმის, მაგრამ მისი ელიოტი ტელევიზორს აღარ უყურებს — შეფითავს და ლოგინში მოუხვეწრად წრიაღებს.

ქართველი ქალი ზის და ნეტარებით ეწვეა, თან ყვავს წრუხავს.

მისი ელიოტი ზარს რეკავს.

ქართველი ქალი წამობტება, ნახევრად მოწვეულ სიგარეტს საფერფლეში ჩასრისავს და ნისლივით გაწოლულ კაბულს ხელით ფანტავს.

მისი ელიოტი ზარს რეკავს.

ძართველი ძალი: მოვლივარ!

მისი ელიოტი ზარს რეკავს.

ქართველი ქალი ჭიქაში ჩარჩინულ ყვავს ერთხმად გადაკრავს, გადმოაბრუნებს, თეფშზე დადებს და საძინებელ ოთახში გადის.

მისი ელიოტი ლეკვით წამუტუნებს.



ძარბაზი: რა? რა გინდა? რა გინდა, მთხარი... ხო არ ჩაიფიცე? ო, შე საბავლო, ჩაიფიცე, არა?

მისი ელიოტი შესაბრალისად წაქეზდება.

ძარბაზი: ახლავე, დედიკო, ახლავე, გენაცვალე... ცოტა ხანს მოითმინე და ახლავე გამოგიცვლი!

მისი ელიოტი წკატუნებს.

ქართველი ქალი კომოდის უჯრიდან პამპრისის პატის იღებს. ხსნის და მისი ელიოტის საწოლთან იხრება.

მისი ელიოტი მზიარულად ტელახინებს.

ქართველი ქალი მოხუცს პამპრისს უცვლის და თან განწმენდვით ელაპარაკება.

ძარბაზი: ეს არაფერი, ჩაიფიცე და ჩაიფიცე, რა მოხდა მერე... არაფერიც არ მოხდა... ახლავე გამოგიცვლი და ისევ ის გოგუცუნა იქნები... ჩემი კარგი და საყვარელი გოგო იქნები... (სველ პამპრისს ცელონის პაკტში ავლებს) ახლა ეს ჩაიცივათ და ისევ ისეთი სუფთა და კრიალა გოგო იქნები... აი, ასე... ჩემო ლამაზო, ჩემო მშვენიერი... ახლა საბანი დაიხურე და ტელევიზორს უყურე, კარგი? ოღონდ აღარ დამირეკო, აღარ დამირეკო, იცოდ!

მისი ელიოტი საიპონებისაკან კრუტუნებს.

ძარბაზი: აბა, შენ იცი... შენ იცი ახლა!

ქართველი ქალი ცელონის პაკტს იღებს და საწოლი ოთახიდან გადის.

მისი ელიოტი ტელევიზორს უყურებს.

ქართველი ქალი ტუალეტში შედის (კარს დასა ტრეხს), ცელონის პაკტს ხანჯვეში ავლებს და ხელს იბანს. მერე ისევ საშარეულოში გამოდის, ფაისი ცარიელ ჭიქას იღებს, შიგ იყურება და თავს უსამყოფლოდ აჩვენებს.

მისი ელიოტი ტელევიზორის ვერანს უახრო სახით მისწერება.

ქართველი ქალი სკამზე შედგება, კარდის თავზე ხელს მოაფათურებს და სიგარეტის ღერს იპოვნის. მერე სკამიდან ჩამოდის, ჯდება, სიგარეტს მოუკიდებს და გააბლეს.

მისი ელიოტი კენესით გადმობრუნდება, ტელევიზორს ზურგს შეაქცევს და თვალს ხუჭავს.

ძარბაზი: (ფაისი ჭიქას იღებს და შიგ იყურება): ვაიმე, გზა არ ჩანს... (უფრო მეტი ვრავლებით აყივრდება) არა, არ ჩანს... მოიცა, ეს ხაზი? არა, აზრზე არა ვარ... ეს კი, მგონი,

ნანუკა... ჩემი ნანუკუნა... დედა, რამხელა მუცელი აქვს! ნეტა ეს გოგონა... რამხელა მუცელი ხომ არ არის?! ღმერთო... ოღონდ ეგ არა, ოღონდ ეგ არა და რა ვიცი... მოიცა, ეს გოგია?... არა, არა, რა უგავს გოგის... (ფინის) გოგის კი არა, ცხენს უფრო ჰგავს... არ ვიცი, აზრზე არა ვარ, ასეთს არავის ვიცი... ზურგზე დიდი ტომარა ჰკიდია... რა კარგი მაიკა ვუყვიდე და როგორ დამეკარგა... (პაუზა) გზა კი არ ჩანს... არა, გზა არ ჩანს... (ისევ ჭიქას ნახევარს, ვაკირვებული სახით) უი, ეს ხომ მისტერ ელიოტია (ფინის)! ჭირი მაგას, მე რას ამომდის ამ ყავაში, ვერ ვავიგე... კრეტინი... (აჯერებს) „ნოუ სმოქინგ, მისი ნელი, ნოუ სმოქინგ“... წადი, შენი!

ქართველი ქალი მისტერ ელიოტის უბრძულოდ ღრმად ნაფახს დაარტყამს.

ტელევიზორიდან მზიარული მუსიკა და მულტფილმის გმირების სტილი-კისკისი ისმის.

მისი ელიოტი ლოგინში საცქვოდ გატრუნდება.

ქართველი ქალი სიგარეტს საფერფლუსი აქობს, მაცივრის გვერდიდან დიდ ჩემოდანს გამოაბრებს, დააწვენს, საზურავს ახდის და შიგ იჭექებს.

ძარბაზი: სად უნდადამი წაგიღე... ნეტა იმ შალაზიაში ხომ არ დამჩნა? არა, არა... მაგრამ რო არ არი? დავინახე თუ არა, მაშინვე ვიფიქრე, გოგის მოუხდება-მეთქი... სულ ახალი მაიკა იყო, უხმარი... (ჩემოდანიდან ტანსაცმის ალაგებს, ათვლიერებს და სკამზე აწყობს) ეს ვიოს, ენაცვალოს იმას ბუბო... ეს კი - თუკლას... ნახე, როგორ დახატოს - სწორედ მისი თვალების ფერია... (ჯინსის შარვალს ამოიღებს და სკამის საზურავზე გადაიფენს) ეს ჯინსები - ნანუკას... მაგრამ ორსულად თუა, როგორ ჩაიცივამ? არა, არა, რა ორსულად, ღმერთმა დაგიფიქროს!... ნეტა ეს სეიტრი პატარა ხომ არ ექნება?... არა, ნამდვილად იმ შალაზიაში დამჩნა, იმ ოხერში... აი ეს კაბა აქ არის, იუბკაც, ჯეჰპრებიც და ტილოს შარვალიც, ერთად არ ვიყიდე? მაიკა კი არ ჩანს... (ტანსაცმელს ისევ უკან ალაგებს, ჩემოდანს კეტავს და მაცივრის გვერდიდან იღებს) ჭირი ჩემს თავს, ჭირი!... ემ, დროა სადილი დაიწყო, თორემ ატიხნავს სადაცაა ზარის რეკება... (საფერფლუსს სანაგვეში ჩააბრძვავს, გარეცხავს, მაცივრის კარს გამოაღებს და შიგ იყურება) რა ვქნა, რა უნდადამა გავაკეთო?... მომიკლა ამაზე ფიქრმა... ეს გატრუნებული ზორცი მაქვს... მოიცა, ხინკალი ხომ არ



მოვახვით უცებ, ა?... კარგი, გემრიელი ხინკალი... ოხ, რა ხინკალი იცოდა ჩემმა ცხონებულმა დედამთილმა! - წენიანი, თხელკანიანი... რომ ჩაებინავედი, წენი სახეში შემოვასხავდა!... ისე არც მე გამოძდის ცუდი, რა ვინდა... გიჟდება გოგი ჩემს ხინკალზე... მოდი, მართლა ხინკალს გავაკეთებ, რაც არის, არის! გატარებული ხორცი არის, ფქვილიც... მგონი, შავი პილპილიც უნდა იყოს სადღაც... (ახლა კრადის კარს გამოადებს) აი, ყოფილა, რა ვინდა! გავაკეთებ, ხინკალს გავაკეთებ!

ისმის ტელეფონის ზარის ხმა.

მისი ელიოტი უკრებს ცქიტავს. ლოვინიდან წამოიწვევს და სამზარეულოში გამავალ კარს გაფაციცებული სახით მიანერვება.

ძარბაველი ძალი (ყურმილს იღებს): პელოუ!- უი, ციცო, შენა ხარ, გოგო?... მე ჩემის მისტერ ელიოტი მეგონა... არაფერს, ხინკალს ვაკეთებ. შენ რას შერებ?

მისი ელიოტი ერთხანს უსმენს, მერე ამოიხრებს, დაწვება და თვალს დახუკავს.

ძარბაველი ძალი (ტელეფონზე ლაპარაკს განაგრძობს): რა ბუნდირებაა, ძაზე უკვე თბილისში იქნება... შშურს, გოგო, რა ვქნა, ძალიან შშურს... არაფერი, რა უნდა გავატარო, ამასწინათ ტელეფონით ველაპარაკე, ფულსაც ყოველთვე ვუგზავნი და მეტი რა ვქნა... ეგენი რას ამბობენ?... ეს, ჩემო კარგო, რა თქმა უნდა, გული დაწყდებათ, აბა, ჩვენი სთნა მოვამაგიარებებს საღლა იშოვნიან... რაღა დარჩა, თვენახევარში მეც წამოვალ... ხო, იმ თვის ბოლოს... (იენის) ჩემოდანი ჩალაგებული მაქვს უკვე... არა, ჯერ რა დროს ბილეთია... რა ვქნა, ცოტა კიდევ უნდა ვიჯახირო ამ დასაქცევში... აღარ შემძლია, ქალო, მაგრამ ორი კაპიკი ხომ უნდა ჩავიტანო სახლში?... იცოდე, ფრთხილად იყავი, გზაში არაფერი დაკარგო... მაგას ნუ იტყვი, გადასარევი მაიკა ვუყიდე გოგის, მაგრამ სადღაც დამეკარგა... რა ვიცი, კი ვეღარ ვპოულობ და... აბა, კეთილი მე ზაერობა, გენაცვალებ, მომიკითხე შენები!

ქართველი ქალი ყურმილს დებს, მერე კარდიდან პლასტმისი ვაში გამოიღებს. შიგ ფეჭალს ვრის, წყალს ასხამს და ცომის მოზელას იწყებს.

მისი ელიოტი უძრავად წევს, ეტყობა, ჩაებინა. ტელევიზორიდან მულტფილმების გმირების ხმები ისმის.

ძარბაველი ძალი: თვენახევარი... ეს, რას იზამ... (ცომს დასუნავს) ამათხანს, ჩო გემო არაფერს არა აქვს... ამასწინათ ნივეზიანი ბადრიჯანი რო გავაკეთე, ხო ნახე, რა სახიზღრობა გამოვიდა - ერთი ლუკმა ვერ ჩავიდე პირში... არადა, ნივოზი ნივოზს გავდა, ბადრიჯანი ბადრიჯანს და ზეთი - ზეთს... ბედზე, სწორედ იმ დღეს, მისტერ ელიოტი რომ არ მოსულიყო, გადასაყრელი გამიხდებოდა... (იენის) აუ, რას იღმურძღვებოდა!... პირის გემო არა აქვთ ამ ოხრებს!

მისი ელიოტი იშშუშუნება და თვალს ახლს. ერთხანს ვერ წევს, მერე საბანზე ხელს მოაფათურებს, ზარს პოულობს და რეკავს.

ძარბაველი ძალი (ცომან ხელზე დაიხუკავს): რა უნდა ეხლა, რა!

მისი ელიოტი ზარს რეკავს.

ძარბაველი ძალი (გალიზანებული): ხო ვატამე, ხო გამოუუცვალე არა? მეტი რა ვქნა?!

მისი ელიოტი ზარს რეკავს.

ძარბაველი ძალი: კიბი შენ!

ტელეფონზე ხელს იბანს, იშრალებს და საწოლ ოთახში გადის.

ძარბაველი ძალი: რა ვინდა, მითხარი, აბა, რა ვინდა?

მისი ელიოტი უკრებს და მორცხვად უღიბს.

ძარბაველი ძალი (ღიმილით): რა იყო, რა მოგივიდა?

მისი ელიოტი შეწუხებული სახით უკრებს და თხელი, მოცხცახე ხელით რაღაცას ანიშნებს.

ძარბაველი ძალი (ახლავა მიხედება): რა, არი, ქალო, ჩაისვარე? უი, მომიკვდეს თავი!

მისი ელიოტი აღარ იღივება, წევს და მოახლეს გამოცეხული სახით მისწერება.

ძარბაველი ძალი (ტელევიზორს გამოითავს): კარგი, არაუშავს, დაწმარდი, ახლავე ჩაგბან და გამოგიცვლი...

ქართველი ქალი გადის, სამზარეულოს გაივლის, კარს გააღებს და ტელეფონზე შედის. იქადაც ერთხანს წყლის ჩხრიალი ისმის.

მისი ელიოტი კენებს.

ქართველი ქალი ტელეფონიდან დიდი ტამბით



თბილ წყალს გამოიტანს. ილიაში პირსახოცი აქვს ამოწრილი. საშარეულოს რომ გამოივლის, ნახევრად მოხვლილ ცოშს ჩახედავს და საწილ ოთახში შედის. მისის ელიოტი კრუსუნებს.

ძარბაზი ძალი: ხო, კარგი ახლა, კარგი, რა მოხდა მერე, ვის არ ჩაუსვრია...

ტაშტს იატაკზე დგამს. საწილის ქვეშედან ცელოფანის დაკვირვებულ ზეწარს გამოიღებს და მისის ელიოტს ქვეშ შეუფხვს. მისის ელიოტი ოხრავს.

ძარბაზი ძალი: რამდენჯერ უნდა ვითხრა, ზარი მანამ უნდა დარეკო, სანამ ჩაის-ვრი-მეთქი, მერე რო რეკავ, რა აზრი აქვს!...

მისის ელიოტი ოხრავს და ხუნმა რომ არ შეაწუხოს, ცხვირზე ორ თითს იჭერს.

ძარბაზი ძალი: ვაიძე?! რა არის ეს, რამ აგიშალა კეჭი?

ქართული ქალი დახვრილ სამკერსს პარკში აფდებს, მოხუცს ბანს. მერე პირსახოცით ამშრალავს, ცელოფანის ზეწარს საწილქვეშ ინახავს და კომოდის უჯრიდან ახალ სამკერსს ამოიღებს.

ძარბაზი ძალი: ასეთი რამ აღარ ქნა, იცოდე! როცა მოვინდება, ზარი დარეკე და სუდნოს მოვიტან, ვაიძე?

ახალ სამკერსს აცმევს, საბანს ახურავს და ტაშტი ტუალეტში გააქვს. მისის ელიოტი კენჭით გადაბრუნდება, გულადმ წევს და თვალებამოშრებულ კერს უყურებს.

ქართული ქალი ხელებს საწილთ იბანს, მერე საშარეულოში გამოდის, წვლიან ჭიჭის იღებს და საწილ ოთახს მაშურებს.

მისის ელიოტი მის დანახვას ხმადალა კენჭის.

ძარბაზი ძალი (კომოდის უჯრიდან წამლის აბს ამოიღებს): აი, ეს დალიე და დაიბინე, კარგი?... გააღე პირი!

მისის ელიოტი პარს მორჩილად უღებს.

ძარბაზი ძალი (წამალს ასმევს და საბანს ამოიღებს): დაიბინე, შენი ხმა არ გავიფიქრო, იცოდე!

მისის ელიოტი ჩუმად უყურებს.

ძარბაზი ძალი (საშარეულოში გადის და ცოშის ზელას განავრძობს): ღმერთო, რა დავაშავე, ეს რა დღეში ჩავყარდი... ჩემმა თანამშრომლებმა რო დამინახონ, დაიჯერებენ? სხედან ახლა და შურით სკდებიან, ჰგონიათ,

მართლა პუშკინტარული დახმარების დეპარტამენტში ვმუშაობ... (ყავის ჭიჭის წყალს მისი თვალებიდან აწვეს) არა, ეს გოგო თუ მართლა ჩემს ლად არი, თავს მოვიკლავ!... ამორტი ცოდვააო... ვასაგებია, ბატონო, მაგრამ ათასი საშუალებაა, ათასი რამე - ცოტა იფრთხილონ, გენაცვალე. ვერე სად არი... მესამე ბავშვი უნდა კიდევ ჩემს ოჯახს?!... მარტო ეკლესიაში სიარული და პირველის წერა ხომ არ არის, ცოტა ხელიც ხომ უნდა გაანძრო... კაცი ხარ, ბოლოს და ბოლოს... არ ვიცი, არა, არავფერი არ ვიცი...

ისმის ტელეფონის ზარის ხმა. მისის ელიოტი თვალებს ახელს, ლოგინიდან წამოიწევს და საშარეულოს კარს მაშურდება.

ძარბაზი ძალი (ცოშთან ხელზე დაიხედავს და ყრმობს ორი თითით იღებს): ჰელიოუ!... (მოშხაბულელი დამბლით) გულ მორჩინე, მისტერ ელიოტ!... იეს... ეს... (ხალისიანად) ვერი გულ, მისტერ ელიოტ, ვერი გულ!... ისე... თენქ იუ, მისტერ ელიოტ!... იეს... გულ... ვერი გულ-ბაი, ბაი, მისტერ ელიოტ, თენქ იუ ვერი მარ!

მისის ელიოტი საშარეულოს კარს სასოწარკვეთილი სახით მიხვრება, მერე ღონეზიბილი გადაწვება და თვალებს ხუჭავს.

ქართული ქალი ყრმობის დებს, წინსაფრის ჯიბიდან ცხვირსახოცი იღებს და ოფლით დაკვირვულ შუბლს იშმრალავს.

მისის ელიოტი უძრავად წევს, სიციხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობა.

ქართული ქალი ცოშის ზელას განავრძობს.

ძარბაზი ძალი: ეს იციან... კი, ეს იციან... ამას ვერ დაუკარგავ... დღეს რა რიცხვია, ოცი, ხო?... რას ერჩი, როგორც კი გადამირიცხა, მაშინვე დამირეკა და შემატყობინა... არ არის ცუდი კაცი, არა... (აუზა) მაგრამ დღეის ამბავი არ უნდა გკითხა?!... ერთხელ მაინც დაიტყუებულყო... ემ, რა ჩემი საქმეა... (ყავის ჭიჭის წყალს გაიხედავს) არა, ესენი გადამრევენ, სამ შუბლს როგორი გაზრდა უნდა, არ იციან?! რომ კითხო, ვმუშაობ, მეტი რა უქნაო!... მაგას წერა მუშაობა ჰგონია... აბლევდნ მარც რამეს... გააწვალა ის საწყალი გოგო... არადა, რა არის მაინც სიყვარული - „ჩემად, დათუნას ძინავს, ჩემად, დათუნა მუშაობს!...“ გამაგებია ქალი! (აუზა) არა, ვერ გავიფიქვ, ვაცემე, ვაჭმე, ცივ ნიავს არ ვაკარებ, ორ შვილს უზრდი და ახლა მესამეც არ მომიხდომა?!



წაუფევან, ბატონო, ეგ შენი ცოლ-შვილი დე-
დაშენს, რომ გაუსქელებია ტრაკი და ენახავ
ერთი რამდენ ხანს შეგინახათ... შარშანწინ
არ იყო, რო გამოაპანდურა თვენახევარში?...

მისი ელიოტი თვალს ახლს და, თითქოს ვიდაცს
ქვბო, აქეთ-იქით იყურება.

ქართველი ქალი ცოშ ხელს.

მისი ელიოტი ლოგანში წრიავებს, მერე საბანზე
ხელს მოფათურებს. ვერცხლის ზარს პოულობს და
აქარუნებს.

ქართველი ქალი თავს ასწევს და საძინებლის
კარს მაჩერდება.

მისი ელიოტი ზარს რეკავს.

ქართველი ქალი შუბლშეგრული ირეცება.

მისი ელიოტი ზარს რეკავს.

ძართველი ქალი: გაგიხმეს ეგ ხელი!

მისი ელიოტი ზარს რეკავს.

ძართველი ქალი: სიკვდილი და არგა-
დარჩენა!

მისი ელიოტი ზარს რეკავს.

ქართველი ქალი ტუალეტში ცოშინ ხელებს
დაიბანს და საძინებელ ოთახში შედის.

ძართველი ქალი: რა გინდა?

მისი ელიოტი ნუბდ უფრებს.

ძართველი ქალი: აბა, მითხარი, რა გინ-
და... მოგებზრდა არა, მარტო ყოფნა? არაუშავს,
ცოტაც მოითმინე და ისეთ ხინკალს გაჭმევ,
თითებს ჩაიკნენეტ!

მისი ელიოტი რადაცს ანიშნებს.

ძართველი ქალი: დედა, გაგვიფლები
ახლა! (მეფიდა და საბანს აუწევს) ფუჰ... ეს რა
გიქნია, ქალო, წელან არ გამოგიცვალე?! რა
მოგივიდა, რა ჭირი გეტაკა?!...

მისი ელიოტი პირგამებზელი უფრებს.

ძართველი ქალი: კიდევ უსინდისოდ რომ
მიყურებს... რა გინდა რა, გამაგებინე, დღემში
რამდენჯერ უნდა გამოგიცვალო!

მისი ელიოტი თვალს არ აცილებს.

ქართველი ქალი ტუალეტში გადის, ტამბს ობლი
წვლით აესებს და საძინებელ ოთახში გამოიტანს.
იღლიამი პირსახოცი აქვს ამირილი. მერე საწოლის
ქვეშედან ცელოფანის ზეწარს გამოიღებს და მოხუცს
ლოგანში ჩაუფენს.

მისი ელიოტი პერს ცნობავს, სახეს ზახილი
მანჭავს და ცხვირზე ორ თითს წაიჭერს.

ძართველი ქალი: არა, ნამდვილად რა-
დაცამ აწყინა... რა ჭამა ამისთანა, რა შენსევენი
ულმამა!... (მხრებში ხელებს ჩაადლებს და შესწავლ-
რებს) მითხარი, რა ჭამე, შე ოხერო, რა!

მისი ელიოტი გაღახული ლეკვით წაუწავებს.
ქართველი ქალი დახვრილ ჰამპერს პარკში დებს,
მოხუცს ბანს. ამრავლებს, ცელოფანის ზეწარს აცვავს
და საწოლქვეშ ინახავს, მერე კომოდის უჯრას
გამოსწევს და იჭადან ახალი ჰამპერისს კაეტს
ამოიღებს, თან განწვევტილე ლაპარაკობს.

ძართველი ქალი: ახია ჩემზე, ახი... რა
მინდოდა, სად მოვეთეროდი, ვერ დავეტიე
ჩემთვის?... თავში ქვა ეხალათ და შეენახათ
ოჯახი, ორი უსაქმური რომ მიზის სახლში...
დაებერდი და ჭკუა ვერ ვისწავლე... ავიტებე
სულელივით - ამერიკა და ამერიკა... ესეც
შენი ამერიკა!... მოისპოს ამისი მოშეონი, რა
გამძებს კიდევ თვენახევარს ამ დასაქვე-
ში... (პაუზა) არა, ისე რა მეგონა, აბა, დამსვამ-
დნენ ქალბატონივით და შემინახავდნენ?... არა,
ბატონო, ტყუილად ვინ რას მოგცემს... ამისი
შვილი? უიშეე! დადის და სულ აქეთ-იქით
იყურება, ხომ არაფერი დამიფარდაო!... (მისი
ელიოტს) გადმობრუნდი აქეთ!... გადმობრუნ-
დი-მეთქი, შე საზიზღარო!

მოხუცს ევაჯგურება და მის გადმობრუნებას
ცდილობს.

მისი ელიოტი უფრად ისტერიულ კივილს
შორთავს, გადმობრუნდება, ქართველ ქალს ეცნა და
სახეს ფრჩხილებით ჩამოაკორტინს.

ქართველი ქალი მიშისა და ტკავილისაგან
შეშვიერებს და უკან გახტება.

მისი ელიოტი ნიშისმოგებით უფრებს.

ძართველი ქალი: (ლოყავზე ხელის გულს
მიიღებს და მერე ზედ დაიხდევს); დედა, სისხ-
ლი... რა მიქნე ეს, რა?!... რა მიქნე... გაჭმევ,
გასმევ, ტურტლიან ნიფხვებს ვირეცხავ და
ეს რა მიქნე?!... მადლობის მაგიერია? ვერ
უფრებ ამ საზიზღარს, ამას?!

ქართველი ქალი მისი ელიოტს მკლავზე
დააფრინდება, ჩქვტს და მერე ერთი კარგად ჩაუბნის.
მისი ელიოტი დასაკლავი გოკვიით ტყვიობს.

ძართველი ქალი: ჩაიწვიტე ხმა! (ლო-
ყას ისინჯავს) არ არი ეხლა ეს მოსაკლავი?
(ტუალეტში გადის და სარკეში იყურება) რა მიყო,
ეს რა მიყო, ამ გათახსირებულმამა!...

ქართველი ქალი ლოყას ჩამოიბანს და პირსახოცი



ერთხელ იმხარალებს. მერე ისევ სამხარეულოში გამოდის, სკამზე შედგება, კარადის თავიდან სივარტეს ჩამოიღებს და ნახევრად მოხედილ ცოშს დახედავს.

ძარბაზი ძალი: ვაი, ჩემს პატრონს, უბედურს, ამისი დრო იყო ახლა?! (მაგიდას მოუჯდება და სივარტეს მოუკიდებს) დედა, რა დღეში ვარ, ა?... ოხ, ვოგი, ვოგი... (პუხის შემდეგ) რა ქნას იმ გოგამაც, სანამ სამუშაო პქონდა, ზომ დგებოდა დილის ექვს საათზე და ახლა რა ქნას... (პუხა) ეხ, აღბათ, როგორ მოენატრა ჩემი ვაკეთებული ხინკალი... რამდენი იარა, ხაწყალმა, ვინ აღარ შეაწუხა, მაგრამ არ არის ეს ოხერი სამუშაო და რა გინდა, რომ ქნა... არადა როგორია - იჯექი ამხელა კაცი სახლში და უფურე შშიერ ცოლ-შვილს... ჭურჭელს მაინც დაგირეცხავო... სულელი... ძლივს გამოვაგდე სამხარეულოდან... შეადარე ახლა ის და ამ გამოყრუებული დედაბრის შვილი ერთმანეთს... ვერ გაიგებ, რითი ჯობია ეს ოხერი მაიკლი ჩემს ვოგის, ა? არა, რითი ჯობია - შეხედულებით, განათლებით, ზრდილობით თუ სიტყვა-პასუხით?... ორი წიგნი არ ექნება წაკითხული... ფული კი... ფული იმდენი აქვს, აღარ იცის, სად წაიღოს, მაგრამ მარტო ფულია, გენაცვალე? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, დედა ზომ მაინც უნდა ვიყვარდეს, დედა!... ხომ ხედავ, სულ შენს გზას გამოსცქერის, შენზე ფიქრში ათენებს და აღაძებს... თვეში ერთხელ მაინც დანახვე, შე ოხერო!... წელიწადი და რვა თვეა, რაც აქ ვარ და რვაჯერ არ არის ნამყოფი... არადა, როგორ უხარია მისი მოხელა, შოშის ბარტყევით აჭვლოპინდება ხოლმე, ხელებზე სუნავს და ეფერება... არა, დედა მაინც დედა - რა ამერიკელი და რა ქართველი...

ისმს ტელეფონის ზარის ხმა.

მისი ელიოტი თვალებს ახელს, ლოინიდან წამოიწვეს და სამხარეულოს კარს გაუციცვლი სახით მიართვება.

ქართველი ქალი წამოხტება, სივარტეს საფურფლეში აქრობს, კეამლს ხელით ფანტავს და წრმოხლს იღებს.

ძარბაზი ძალი (დაძაბული სახით): პელოუ... (სახე მოკრძევა) უიმე, დედიკო, შენა ხარ?... რას შერებთი, შვილო, როგორა ხართ... მითხარი, ბავშვები ხომ კარგად არიან?... რას

მეუბნები, ვახსოვარ კიდევ?... ჩემი ბატონი, ჩემი ბატონები, ჩემი დრანკები და დრანკები... არა, არ ვიტყვებ, ნუ გეშინია... ფული ხომ მიიღეთ?... როგორ, კაცო, გასულ სამშაბათს გამოვაგზავნე?... წავიდე მამაშენი და აიღოს... რას შერება, როგორ არის... რა?... (აფლდუხა) რას მელაპარაკები! ვაიმე, ეს მინდოდა ახლა? უთხარი, ექიმთან მივიდეს, გაიგე?... რას ქვია, არ ვიჯერებს. უთხარი, აუცილებლად მივიდეს! იცი რა, მოდი, შენ თეთონი დაურეკე ლუიზას და მერე საავადმყოფოშიც წაყვივი, თორემ, ხომ იცი მაგისი ამბავი, არ მივა და ვერცვებს - ვიყავი... ბავშვები დათოს დაუტოვე ცოტა ხნით, არაფერი უჭირს... ტელეფონის ნომერი ჩემს ბლოკნოტში იქნება... არა, არ ვწერევილობ, მაგრამ ექიმთან ხომ უნდა მივიდეს, არა?... ხო, მართლა, დათო როგორ არის?... ნუ გეშინია, დედიკო, ღვთის მაღლით ყველაფერი კარგად იქნება, აი, ნახავ, წიგნიც გამოვა და ყველაფერი. მე რა მიჭირს... გადასარეგად, დედიკო!... (შხარულად) არა, მართლა კარგად ვარ, ვზივარ ახლა სამხარეულოში და ფავას ვეახლები, აბა!... არაუშავს, ისიც კარგადაა... რას ამბობ, ვოგო, კნჭივითაა, რატო უნდა მოკვდეს - დამწვარი თითივით ვუვლი, ამას რომ რამე მოუვიდეს, ხომ დავიღუპეთ ყველა!... არა, კაცო, რას მპარაზებს, არის თავისთვის გუგულივით... ხო, გისმენ... თვე-ნახევარში, დედიკო, თვენახევარში, ჩემოდანზე ვზივარ უკვე!... (ღიმილი) რა იყო, მოენატრე?... რა?... (თანდათანობით სახე ეღრუბლება) როგორ თუ, ნუ წამოვალ... კი მაგრამ, რატომ?... მოიცა, რას მეუბნები... დედიკო, კი მომკალი... რომელში?... შეექვს თვეში?... მერე ახლა მეუბნები მაგას?... (ტრილს აღარაფერი უკლია) გამანებე თავი, გამანებე... რაც გინდა, ის ქნით... (პუხა) ნანა... ნანუკა, არ გეხმის, ვოგო?... რა არი, ტირი, დედიკო?... უიმე, არა, გენაცვალე, არა, შვილო, ხომ იცი, რომ შენთვის ახლა ნერვიულობა არ შეიძლება... კარგი, ხო, დაწყნარდი, რაც არი, არი... დაწყნარდი-მეთქი!... რა ქვია, ისე უცებ მომახალე, რომ თავი ვეღარ შევკაცე... კარგი, მამატი, დედიკო, მამატი... აკოცე ბავშვებს ჩემს მაგიერ... მამაშენს უთხარი, ექიმთან მივიდეს... აუცილებლად მივიდეს, გაიგე?

ქართველი ქალი ვერმილს დებს, ჯდება, საფურფლეში ჩაჭვლებილ ნაწევს იღებს. ამწერებს და აკანკალებული ხელით უჯდება. ეწვეა და თან



მაცივარსა და კედელს შორის შედგმულ ჩემოდანს უყურებს. უცერად, ტირილი წასკდება, ნაშწეს საფერფლეში აგდებს და სახეს ხელისხეულებში ჩამოლავს.

ტირის, მხრები უცახცახებს.

მისის ელიოტი ზარს რეკავს.

ქართველი ქალი თავს ასწევს და საწოლი ოთახის კარს მიაჩერდება. სახე ცრემლით აქვს ჩამოსველებული.

მისის ელიოტი ზარს რეკავს.

ქართველი ქალი საბაზანოში შედის, პირს იბანს, იშრალებს და საწოლ ოთახში შედის.

მისის ელიოტი დარცხვნილი ღიმილით უყურებს.

ძართველი ქალი: ხო, რა გინდა!

მისის ელიოტი რაღაცას ანიშნებს.

ძართველი ქალი: რა გინდა, ქალო, რა?

მისის ელიოტი გაშხმარი, გამჟღავნებული ხელით რაღაცას ანიშნებს.

ქართველი ქალი ფრთხილად უახლოვდება.

მოხუცი ხელს მოკიდებს და ღოგინზე დაისევს.

ძართველი ქალი: კარგი, მითხარი, ხო, რა გინდა...

უცერად, მისის ელიოტი ატირდება.

ქართველი ქალი გაოცებული სახით უყურებს.

მისის ელიოტი გულამომედარი ტირის და თან ხელზე უყურებს.

ძართველი ქალი: რა მოგტყდა, შენსაწეს ყალო, რა ვატირებს, რა!

მისის ელიოტი გულამოსკვნილი ტირის და ხელისხეულებზე ხუნავს.

ძართველი ქალი: კარგი, დაწენარდი ახლა... დაწენარდი, თორემ, იყოლე, მეც ვიტყვებ...

მისის ელიოტი ტირის და ხელზე კონენს.

ძართველი ქალი: ნუ ტირი, ჩემო კარგო... ჩემო ლამაზო... ნუ ტირი, გენაცვალე...

მისის ელიოტი ტირის.

ძართველი ქალი: ნუ ტირი რა, გეხვეწები... გინდა ვიმღერო, გინდა?... (მღერის) ეს პატარა კურდღელი, ძლიერ აეად ვაგვიხდა... არც სტაფილო...

სიმღერას წყვეტს და გულამოსკვნილი კეთილნებს. მისის ელიოტიც ტირის.

ძართველი ქალი (ტირილით): ღმერთო, რა დაგიშავეთ... ეს რა ხდება ჩვენს თავს, ღმერთო!

მოხუცს ჩახუტება და ტირის.

მისის ელიოტიც ტირის.

ერთმანეთს ეხუტებიან და ორივენი ტირიან.

შპარღა